განკარგულება:**g-37. 3725283001**
თარიღი:**10/10/2025**

განკარგულება N44

10 ოქტომბერი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის - ზაზა დამენიას სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მოწონებული იქნას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 41^0 47 10″ და აღმოსავლეთ გრძედის 42^0 12″ 56″ სიმაღლე ზღვის დონიდან 2650 მ) მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის-ზაზა დამენიას სახელი. (თანდართული რუკის თანახმად).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი